

თავდაცვითი ღონისძიებების განმახორციელებელი სუბიექტები და ამ  
ღონისძიებების გავლენა სტეიკჰოლდერთა ინტერესზე

ანა ჭურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ჭურაძე

2019 წელი

## აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორად შეგვიძლია კორპორაციები მივიჩნიოთ, რომლებიც იქმნებიან სააქციო საზოგადოების ფორმით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია სააქციო საზოგადოების მთავარი შემადგენელი ნაწილი - დირექტორატი, აქციონერები და მათი უფლებების დაცვა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, სასამართლო პრაქტიკისა და გამოყენებული ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დირექტორატის კეთილსინდისიერ მოქმედებას კორპორაციისთვის. აგრეთვე, შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ დელავერის საკორპორაციო სამართლის მსგავსად, ქართული კანონმდებლობის მიხედვითაც, ბორდი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, კორპორაციისა და აქციონერთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რა დროსაც შეუძლიათ კორპორაციული თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენება, თუკი იგი იქნება არსებული საფრთხის შესაბამისი.

მოცემული ნაშრომი დაეხმარება მკითხველს შეექმნას წარმოდგენა, საკორპორაციო სამართლის, კერძოდ, სააქციო საზოგადოების განვითარებაზე საქართველოში (რომელი ქვეყნის გავლენა იგრძნობა ქართულ კანონმდებლობაზე). აგრეთვე, სააქციო საზოგადოების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალაზე - დირექტორატზე, რომელიც თავდაცვითი ღონისძიების განმახორციელებელ სუბიექტად გვევლინება და სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობაც განზრახ საზოგადოებისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაზე. გარდა ამისა, კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს, თუ რა როლს ასრულებს ახალი საზოგადოების შექმნის/შერწყმის პირობებში აქციონერი და რამდენად აუცილებელია მისი ჩართულობა ზემოთაღნიშნული ტრანზაქციის დროს.

აგრეთვე, ყურადღება იქნება გამახვილებული აქციონერთა უფლებაზე, აკონტროლოს და ჩაერიოს მენეჯმენტის საქმიანობაში და განხილული იქნება თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა კორპორაციული მართვის ერთსაფეხურიანი და ორსაფეხურიანი სისტემების დროს, რათა გავიგოთ მათ შორის სხვაობა და თუ რომელი მმართველობის სისტემას ირჩევს ქართული კანონმდებლობა. გარდა ამისა, გასაგები გახდება, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს თავდაცვითი ღონისძიებების გამოყენებას, აქციონერის გარდა, სხვა სტეიკჰოლდერებზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საკორპორაციო სამართალი, სააქციო საზოგადოება, აქციონერი, აქციონერთა უფლებები, დირექტორატი, თავდაცვითი ღონისძიებები, სტეიკჰოლდერები.

## Abstract

Corporations created in a form of joint-stock companies can be considered as a determining factor for Georgian economics. The essential components of joint-stock companies such as board of directors, shareholders and protection of their rights represent particularly important issue under The law of Georgia on Entrepreneurs.

Based on the analysis of the law of Georgia on Entrepreneurs, court case-law and relevant literature, it has been identified, that the conduct of a board of directors in a good faith bears a huge importance on corporations. Also, the comparative legal analysis demonstrates, that similarly to the Delaware Corporate Law, Georgian legislation stipulates that the conduct of the Board should be in compliance with the principle of good faith. The Board shall take into consideration the best interests of shareholders and it is entitled to undertake protecting measures if these measures are proportionate to prevent the risks.

The thesis provides an insight into corporate law, namely, into the development of the institution of joint-stock companies (which countries made the most influence on Georgian legislation). The thesis also discusses the board of directors as one of the driving force that is responsible to ensure the measures of protection and that is responsible for taking inconvenient decisions against the joint-stock companies. Besides, the research aims to identify the role of the shareholder in mergers and acquisitions and how necessary is its involvement during the above-mentioned transaction. Also, a particular attention will be paid to the rights of shareholders to control and influence the activities of the management. The possibility of addressing the measure of protection in one tier and two tier governance systems will be also discussed. It aims to identify which type of governance systems are incorporated into Georgian legislation. Besides, the thesis will illustrate what might be an impact on other stakeholder when the Board of directors address protecting measures.

**Key words:** Corporate law; joint-stock company; shareholder; shareholder rights; board of directors; protecting measures; stakeholders.